პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის შესახებ

წლიური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია

WWW.PDPS.GE

მეთოდოლოგია შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024 წელი

სარჩევი

შესავალი 2

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა 4

2. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა 6

2.1. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) 6

2.2. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე 9

3. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი 10

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები და გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები 21

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები 26

6. სამსახურის გადაწყვეტილებები 29

7. კონსულტაციის გაწევა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე 30

8. ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება 32

9. სპეციალური წარმომადგენელი 35

10. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა 36

11. საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა 37

12. საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია 39

13. ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ინფორმირებულობის გაზრდა 40

14. სხვა სტატისტიკური ინფორმაცია 43

შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა,[1] რომლის საქმიანობის მიმართულებებია:

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი.

კანონის 49-ე მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის თვალსაზრისით სამსახურის ფუნქციებია:

- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;
- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
- მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);
- საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ინფორმირებულობის გაზრდა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 31 მარტისა, წარუდგენს ანგარიშს საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის შესახებ. წარდგენილი ინფორმაცია მოიცავს, მათ შორის, სტატისტიკურ მონაცემებს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში სტატისტიკის წარმოების ერთიანი მიდგომების დამკვიდრებისა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავებული იქნა მეთოდოლოგია, რომლითაც განხორციელდება სამსახურის საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დაჯამება და ანალიზი.

სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1 მარტის „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ №34

[1] იხ. 39-ე მუხლი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0>.

ბრძანების, საზედამხედველო ორგანოსთვის ექსპერტის მიერ შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წლიური ანგარიშებისა და კოლეგა საზედამხედველო ორგანოთა საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა წარმოებისა და ანალიზის შედეგებს სამსახური სტატისტიკის კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში ასახავს. კერძოდ, მონაცემი მოქალაქეთა განცხადებებისა და შეტყობინების, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის, გამოვლენილი სამართალდარღვევების, გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელების, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, აგრეთვე, გაცემული დავალებებისა და რეკომენდაციების, და სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში განხორციელებული სხვა აქტივობების შესახებ.

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ვალდებულია განიხილოს მონაცემთა სუბიექტის განცხადება მათი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. მონაცემთა სუბიექტის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას გამოსაყენებელი ღონისძიებების შესახებ, რის თაობაზეც აცნობებს განმცხადებელს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილია, მონაცემთა სუბიექტის განცხადებასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით განახორციელოს შემოწმება. ნებისმიერი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მას შესაბამისი მასალა, ინფორმაცია ან/და დოკუმენტი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დასაბუთებული გადაწყვეტილებით მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით.

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
შემოსული განცხადებების/შეტყობინებების ჯამური მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მიიღო X განცხადება/შეტყობინება.
შემოსული განცხადებების რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მიიღო Y განცხადება.
შემოსული შეტყობინებების რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მიიღო Z შეტყობინება.

შემოსული განცხადებები/შეტყობინებების რაოდენობა სექტორების მიხედვით	მიღებულ განცხადებათა/შეტყობინებათა X% (Y) შეეხებოდა კერძო ორგანიზაციების/ფიზიკური პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას, X% (Y) შეეხებოდა საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა დამუშავებას, ხოლო X% (Y) — სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავებას.

2. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ახორციელებს ნებისმიერი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილის პირის შემოწმებას (ინსპექტირება). შემოწმების (ინსპექტირება) განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი.

შემოწმება (ინსპექტირება) მოიაზრებს:

- მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლების არსებობის დადგენას;
- მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის განხორციელებული ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებებისა და პროცედურების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას;
- მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის კანონიერების შემოწმებას;
- მონაცემთა დაცვისთვის ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დაცვის შემოწმებას.[2]

2.1. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება)

მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმება (ინსპექტირება) ხორციელდება შემოწმებების წლიური გეგმის შესაბამისად, რომელსაც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი.

შემოწმებების წლიური გეგმის შემუშავებისას, სამსახური ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ 2024 წლის 1-ელი მარტის №34 ბრძანებით და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტირების შემუშავების გეგმით (მეთოდოლოგიით).

[2] იხ. 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0>.

სამსახური უფლებამოსილია, ჩაატაროს მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმური შემოწმება (ინსპექტირება) საკუთარი ინიციატივით ან შეტყობინების/განცხადების საფუძველზე. მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმური შემოწმების (ინსპექტირება) დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შესაძლოა, იყოს:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან სხვა წყაროთი გავრცელებული ინფორმაცია მონაცემთა კანონის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევით დამუშავების ფაქტზე;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე–138-ე მუხლებით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლის ფარგლებში (მათ შორის, ელექტრონულ სისტემებში განხორციელებული აქტივობის კონტროლის ფარგლებში) გამოვლენილი შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტი;
- მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების ან/და შეტყობინების ვალდებულების (მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების და მე-20 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულების) შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
- ნებისმიერი სხვა მოქმედება ან/და ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მონაცემთა კანონის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევით დამუშავებას.[3]

[3] იხ. მე-7 მუხლი, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1 მარტის №34 ბრძანება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6123882?publication=0>.

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირება) მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განახორციელა მონაცემთა დამუშავების კანონიერების X შემოწმება. *<u>შენიშვნა:</u>* მითითებულ ჯამურ მაჩვენებელში მოიაზრება როგორც გეგმური, ისე არაგეგმური შემოწმება.
მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების (ინსპექტირება) მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ჩატარებული მონაცემთა დამუშავების კანონიერების X შემოწმებიდან Y იყო გეგმური.
მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმური შემოწმების (ინსპექტირება) მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ჩატარებული მონაცემთა დამუშავების კანონიერების X შემოწმებიდან Z იყო არაგეგმური.
მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირება) მაჩვენებელი სექტორების მიხედვით	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ჩატარებული X შემოწმებიდან (ინსპექტირება): ➢ Y% (Z) შეეხებოდა კერძო სექტორს; ➢ Y% (Z) შეეხებოდა საჯარო დაწესებულებას; ➢ Y% (Z) შეეხებოდა სამართალდამცავ ორგანოს.

2.2. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ვალდებულია, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ №34 ბრძანების შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე განახორციელოს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა.[4]

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
მონაცემთა სუბიექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი	სამსახურს მომართა X ოდენობის მონაცემთა სუბიექტმა. *შენიშვნა:* თუ ერთი განცხადებით სამსახურს მომართა 10-მა მონაცემთა სუბიექტმა, მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა იქნება 10 და არა 1.
მონაცემთა სუბიექტების განცხადებების რაოდენობრივი მაჩვენებელი	სამსახურს მონაცემთა სუბიექტებმა მომართეს Y განცხადებით. *შენიშვნა:* თუ ერთი განცხადებით სამსახურს მომართა 10-მა მონაცემთა სუბიექტმა, მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა იქნება 10, ხოლო განცხადების რაოდენობა იქნება - 1.

[4] იხ. მე-8 მუხლი, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1 მარტის №34 ბრძანება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6123882?publication=0>.

3. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი

სამსახური ზედამხედველობას უწევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილით და 136-ე–138-ე მუხლებით განსაზღვრულ საგამოძიებო მოქმედებებს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის მიზნით, სამსახურს 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება სასამართლოს განჩინებების რეკვიზიტები და სარეზოლუციო ნაწილი ასეთი მოქმედებების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილებების ასევე რეკვიზიტები და სარეზოლუციო ნაწილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შედგენილი ოქმები. სამსახური ასევე იღებს შეტყობინებებს, რომლებიც ასახავს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა გადაცემას სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

ზოგადი სტატისტიკა	
დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
სასამართლოს განჩინებების მაჩვენებელი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ	საანგარიშო პერიოდში, სასამართლომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ მიიღო X განჩინება.

სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ განხილული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი	სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ განხილული X შუამდგომლობიდან: ➢ Y სრულად დაკმაყოფილდა; ➢ Z არ დაკმაყოფილდა; ➢ N ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების მაჩვენებელი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ	საანგარიშო პერიოდში, სასამართლომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ განიხილა X შუამდგომლობა.
სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ განხილული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი	სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ განხილული X შუამდგომლობიდან: ➢ Y სრულად დაკმაყოფილდა; ➢ Z არ დაკმაყოფილდა; ➢ N ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
სასამართლოს განჩინებების მაჩვენებელი ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ	საანგარიშო პერიოდში, სასამართლომ ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ მიიღო X განჩინება.

სასამართლოს მიერ ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ განხილული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი	სასამართლოს მიერ ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ განხილული X შუამდგომლობიდან: ➢ Y სრულად დაკმაყოფილდა; ➢ Z არ დაკმაყოფილდა; ➢ N ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების მაჩვენებელი ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ	საანგარიშო პერიოდში, სასამართლომ ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილა X შუამდგომლობა.
სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ	საანგარიშო პერიოდში, სასამართლოს მიერ ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ განხილული X შუამდგომლობიდან: ➢ Y სრულად დაკმაყოფილდა; ➢ Z ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ➢ N არ დაკმაყოფილდა.
სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებების მაჩვენებელი გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის შესახებ	საანგარიშო პერიოდში, სასამართლომ გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის თაობაზე მიიღო X განჩინება.

სასამართლოს მიერ გეალოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი	გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის თაობაზე სასამართლოს მიერ განხილული X შუამდგომლობიდან: ➢ Y სრულად დაკმაყოფილდა; ➢ Z ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ➢ N არ დაკმაყოფილდა.
სამსახურში წარმოდგენილი პროკურორის დადგენილებების მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, სამსახურს წარედგინა პროკურორის X დადგენილება.
სამსახურში წარდგენილი პროკურორის დადგენილებების მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში წარდგენილი X დადგენილებიდან: ➢ Y შეეხებოდა ფარულ ვიდეოჩაწერას ან/და აუდიოჩაწერას, ფოტოგადაღებას; ➢ Z სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას; ➢ N სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვას.
სამსახურში წარდგენილი სასამართლოს განჩინებების (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 136-ე მუხლი) მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლთან დაკავშირებით სამსახურს წარედგინა X განჩინება.

სამსახურში წარდგენილი სასამართლოს განჩინებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 136-ე მუხლი)	სამსახურში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლთან დაკავშირებით წარდგენილი X განჩინებიდან: ➢ დაკმაყოფილდა Y; ➢ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა Z; ➢ არ დაკმაყოფილდა N.
სამსახურის მიერ ბუნდოვანება-უზუსტობის შეტყობინების მექანიზმის გამოყენების მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს“ სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩაწერაზე გაცემულ ნებართვებში არსებულ ბუნდოვანება-უზუსტობაზე (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) ეცნობა X-ჯერ.
სასამართლოს განჩინების მაჩვენებელი ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით	საანგარიშო პერიოდში, სამსახურში მიღებული იქნა სასამართლოს X განჩინება განჩინებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.
ელექტრონული კომუნიკაციების მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში დაფიქსირებული აქტივობების მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკიდან სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ მიერ მონაცემები გაიცა X-ჯერ.

ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობათა კონტროლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ან ინციდენტების მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობათა კონტროლის შედეგად გამოვლინდა X ხარვეზი.
მოქალაქეების მომართვის მაჩვენებელი მათ მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე	საანგარიშო პერიოდში სამსახურს მიმართა X-მა პირმა მათ მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.
ფარული საგამოძიებო მოქმედების — კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე სასამართლოს განჩინებების მაჩვენებელი	სასამართლომ განიხილა X შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების — კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე.

სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების — კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე	ფარული საგამოძიებო მოქმედების — კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე განხილული X შუამდგომლობიდან: ➢ დაკმაყოფილდა Y; ➢ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა Z; ➢ არ დაკმაყოფილდა N.
ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების მაჩვენებელი	სასამართლომ განიხილა X შუამდგომლობა ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე.
ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი	სასამართლოს მიერ ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე განხილული X შუამდგომლობიდან: ➢ დაკმაყოფილდა Y; ➢ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა Z; ➢ არ დაკმაყოფილდა N.

სასამართლოდან მიღებული განჩინებების მაჩვენებელი ფარულ საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის, ნაწილობრივ კანონიერად ცნობასა და უკანონოდ ცნობასთან დაკავშირებით	საანგარიშო პერიოდში, სასამართლოდან მიღებული იქნა X განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით, რომელთაგან: ➢ Y სრულად იქნა კანონიერად ცნობილი; ➢ Z ნაწილობრივ იქნა კანონიერად ცნობილი; ➢ N უკანონოდ იქნა ცნობილი.
სასამართლოდან მიღებული განჩინებების მაჩვენებელი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კანონიერად ცნობის, ნაწილობრივ კანონიერად ცნობასა და უკანონოდ ცნობასთან დაკავშირებით	საანგარიშო პერიოდში, სასამართლოდან მიღებული იქნა X განჩინება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით, რომელთაგან: ➢ Y სრულად იქნა კანონიერად ცნობილი; ➢ Z ნაწილობრივ იქნა კანონიერად ცნობილი; ➢ N უკანონოდ იქნა ცნობილი.
სასამართლოდან მიღებული განჩინებების მაჩვენებელი ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების კანონიერად ცნობის, ნაწილობრივ კანონიერად ცნობასა და უკანონოდ ცნობასთან დაკავშირებით	საანგარიშო პერიოდში, სასამართლოდან მიღებული იქნა X განჩინება ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით, რომელთაგან: ➢ Y სრულად იქნა კანონიერად ცნობილი; ➢ Z ნაწილობრივ იქნა კანონიერად ცნობილი; ➢ N უკანონოდ იქნა ცნობილი.

სასამართლოდან მიღებული განჩინებების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე პირის შეტყობინების გადავადების შესახებ	საანგარიშო პერიოდში, სამსახურში მიღებული იქნა სასამართლოს X განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე პირის შეტყობინების გადავადების შესახებ.
სასამართლოდან მიღებული განჩინებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ პირის შეტყობინების გადავადების თაობაზე	საანგარიშო პერიოდში, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ პირის შეტყობინების გადავადების შესახებ სასამართლოდან მიღებული X განჩინებიდან Y-ზე გაიცა ნებართვა, ხოლო N არ დაკმაყოფილდა.
სასამართლოდან მიღებული განჩინებების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების მასალებზე წვდომის უფლების დაცვის მხარისათვის შეზღუდვის თაობაზე	საანგარიშო პერიოდში, ფარული საგამოძიებო მოქმედების მასალებზე წვდომის უფლების დაცვის მხარისათვის შეზღუდვის თაობაზე სასამართლოდან მიღებული იქნა X განჩინება.
სამსახურში მიღებული პროკურორის დადგენილებების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით	საანგარიშო პერიოდში, სამსახურში მიღებული იქნა პროკურორების X დადგენილება ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

პროკურორის დადგენილებების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედებების გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით	საანგარიშო პერიოდში, ფარული საგამოძიებო მოქმედების გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით მიღებული იქნა პროკურორების X დადგენილება.
საგამოძიებო უწყებიდან მიღებული ოქმების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე	საანგარიშო პერიოდში, საგამოძიებო უწყებიდან მიღებული იქნა X ოქმი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე.
საგამოძიებო უწყებიდან მიღებული ოქმების მაჩვენებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩაუტარებლობის თაობაზე	საანგარიშო პერიოდში, საგამოძიებო უწყებიდან მიღებული იქნა X ოქმი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩაუტარებლობის თაობაზე.

ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ წარმოდგენილი შეტყობინებები	
დასათვლელი პარამეტრი	**სტატისტიკური მონაცემი**
ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების რაოდენობრივი მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, სამსახურში შეტყობინებები წარმოდგენილი იქნა X ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ.
სასამართლოს განჩინების საფუძველზე ინფორმაციის გაცემის რაოდენობრივი მაჩვენებელი	X ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე Y-ჯერ გადასცეს ინფორმაცია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შეჩერების მექანიზმის გამოყენება	
დასათვლელი პარამეტრი	**სტატისტიკური მონაცემი**
სამსახურის მიერ შეჩერების მექანიზმის გამოყენების მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის შეჩერების მექანიზმი (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) X შემთხვევაში გამოიყენა.
შეჩერების მექანიზმის გამოყენების გამომწვევი მიზეზების რაოდენობრივი მაჩვენებელი	სამსახურის მიერ გამოყენებული შეჩერების მექანიზმის X შემთხვევიდან: ➢ Y შეეხებოდა სასამართლოს განჩინების დაგვიანებით წარმოდგენას; ➢ Z ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობას; ➢ N ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტას.

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები და გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილია, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და, შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.[5] პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შემოწმების (ინსპექტირების) ან/და მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის საფუძველზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს ადებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[6]

გამოვლენილი სამართალდარღვევები	
დასათვლელი პარამეტრი	**სტატისტიკური მონაცემი**
გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოდენობა	საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გამოავლინა X სამართალდარღვევა.

[5] იხ. 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0>.

[6] იქვე, 58-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გასული წლიდან გადმოსული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოდენობა	პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების X ფაქტი გამოვლენილი იქნა 202x წელს (გასული წელი) დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებული შემოწმების (ინსპექტირების) საფუძველზე.
მიმდინარე წელს დაწყებული და დასრულებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოდენობა	პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების Y ფაქტი გამოვლენილი იქნა საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმების (ინსპექტირება) საფუძველზე.
მუხლების მიხედვით გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მაჩვენებელი	სამსახურის მიერ კანონის მე-10 თავით გათვალისწინებული მუხლების შესაბამისად გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობაა: ➢ 66-ე მუხლი - X ➢ 67-ე მუხლი - X ➢ 68-ე მუხლი - X ➢ 69-ე მუხლი - X ➢ 70-ე მუხლი - X ➢ 71-ე მუხლი - X ➢ 72-ე მუხლი - X ➢ 73-ე მუხლი - X ➢ 74-ე მუხლი - X ➢ 75-ე მუხლი - X ➢ 76-ე მუხლი - X ➢ 77-ე მუხლი - X ➢ 78-ე მუხლი - X ➢ 79-ე მუხლი - X ➢ მე-80 მუხლი - X ➢ 81-ე მუხლი -X ➢ 82-ე მუხლი - X ➢ 83-ე მუხლი - X ➢ 84-ე მუხლი - X

	➢ 85-ე მუხლი - X ➢ 86-ე მუხლი - X ➢ 87-ე მუხლი - X

გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები	
დასათვლელი პარამეტრი	**სტატისტიკური მონაცემი**
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელების ჯამური ოდენობა	საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შემოწმების (ინსპექტირების) შედეგად ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა X პირს.
დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის - ჯარიმის ოდენობა	ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმა დაეკისრა Y პირს.
გასულ წელს დაწყებული და საანგარიშო პერიოდში დასრულებული შემოწმებების ფარგლებში დაკისრებული ჯარიმების ოდენობა	სახდელის სახით დაკისრებული X ჯარიმიდან, Y შეეხებოდა 202x წელს (გასული წელი) დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).

საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმებების ფარგლებში დაკისრებული ჯარიმების ოდენობა	სახდელის სახით დაკისრებული X ჯარიმიდან, Y შეეხებოდა საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).
სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა სექტორების მიხედვით	სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმების ოდენობა სექტორულად: ➢ კერძო დაწესებულებები X% (Y); ➢ საჯარო დაწესებულებები X% (Y); ➢ სამართალდამცავი ორგანო X% (Y).
დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის-გაფრთხილების ოდენობა	ადმინისტრაციული სახდელის სახით გაფრთხილება დაეკისრა X პირს.
გასულ წელს დაწყებული და საანგარიშო პერიოდში დასრულებული შემოწმებების ფარგლებში დაკისრებული გაფრთხილების ოდენობა	სახდელის სახით დაკისრებული X გაფრთხილებიდან, Y შეეხებოდა 202x წელს (გასული წელი) დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).

საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმებების ფარგლებში დაკისრებული გაფრთხილებების ოდენობა	სახდელის სახით დაკისრებული X ჯარიმიდან, Y შეეხებოდა საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).
სამსახურის მიერ დაკისრებული გაფრთხილებების ოდენობა სექტორების მიხედვით	სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული გაფრთხილებების ოდენობა სექტორულად: ➢ კერძო დაწესებულებები X% (Y); ➢ საჯარო დაწესებულებები X% (Y); ➢ სამართალდამცავი ორგანო X% (Y).

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები

აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური გასცემს შესასრულებლად სავალდებულო დავალებებს და რეკომენდაციებს.

დავალება არის სამსახურის მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის წერილობითი ფორმით მიცემული შესასრულებლად სავალდებულო მითითება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

რეკომენდაცია არის სამსახურის მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის წერილობითი ფორმით მიცემული რჩევა მონაცემთა დამუშავების პროცესში დარღვევების რისკების შემცირების მიზნით.

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული დავალებებისა და რეკომენდაციების ჯამური ოდენობა	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გაიცა X დავალება და რეკომენდაცია.
სამსახურის მიერ გაცემული დავალებების ჯამური ოდენობა	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გაიცა X დავალება.
გასულ წელს დაწყებული და საანგარიშო პერიოდში დასრულებული შემოწმებების ფარგლებში გაცემული დავალებების რაოდენობა	გაცემული X დავალებიდან Y შეეხებოდა 202x წელს (გასულ წელს) დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებებს.

საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმებების ფარგლებში გაცემული დავალებების რაოდენობა	გაცემული X დავალებიდან Y შეეხებოდა საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს.
სამსახურის მიერ გაცემული დავალებების ოდენობა სექტორების მიხედვით	სამსახურის მიერ გაცემული დავალებების ოდენობა სექტორულად: ➢ კერძო დაწესებულებები X% (Y); ➢ საჯარო დაწესებულებები X% (Y); ➢ სამართალდამცავი ორგანო X% (Y).
სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ჯამური ოდენობა	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გაიცა X რეკომენდაცია.
გასულ წელს დაწყებული და საანგარიშო პერიოდში დასრულებული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა	გაცემული X რეკომენდაციიდან Y შეეხებოდა 202x წელს (გასულ წელს) დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებებს.
საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა	გაცემული X რეკომენდაციიდან Y შეეხებოდა საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს.

სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ოდენობა სექტორების მიხედვით	სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ოდენობა სექტორულად: ➢ კერძო დაწესებულებები X% (Y); ➢ საჯარო დაწესებულებები X% (Y); ➢ სამართალდამცავი ორგანო X% (Y).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მაჩვენებელი	
დასათვლელი პარამეტრი	**სტატისტიკური მონაცემი**
შესრულებული დავალებების მაჩვენებელი	სამსახურის მიერ გაცემული X დავალებიდან შესრულდა Y% (Z).
იმ დავალებების რაოდენობა, რომელთა შესრულების ვადა ამოწურული არ არის	სამსახურის მიერ გაცემული X დავალებიდან შესრულების ვადა ამოწურული არ არის Y% (Z) დავალებასთან მიმართებით.
გასაჩივრებული დავალებების მაჩვენებელი	სამსახურის მიერ გაცემული X დავალებიდან გასაჩივრდა Y% (Z).
იმ დავალებების მაჩვენებელი, რომლებიც შესრულების პროცესშია	სამსახურის მიერ გაცემული X დავალებიდან შესრულების პროცესშია Y% (Z).

6. სამსახურის გადაწყვეტილებები

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ საანგარიშო წელს მიღებული იქნა X გადაწყვეტილება.
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა სექტორების მიხედვით	საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სექტორულად: ➢ კერძო სექტორი X% (Y); ➢ საჯარო სექტორი X% (Y); ➢ სამართალდამცავი ორგანო X% (Y).
სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მაჩვენებელი	სამსახურის მიერ მიღებული X გადაწყვეტილებიდან გასაჩივრდა Y გადაწყვეტილება.
სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მაჩვენებელი სექტორების მიხედვით	სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება სექტორების მიხედვით: ➢ კერძო სექტორი X% (Y); ➢ საჯარო სექტორი X% (Y); ➢ სამართალდამცავი ორგანო X% (Y).

7. კონსულტაციის გაწევა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე

საკონსულტაციო საქმიანობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. სამსახური კონსულტაციას უწევს როგორც მონაცემთა სუბიექტებს, ასევე დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს წერილობითი ფორმით, სატელეფონო საშუალებით ან სოციალური ქსელით.

ცხრილში წარმოდგენილია სამსახურის მიერ გაწეული კონსულტაციების შესახებ სტატისტიკური მონაცემები და მათი შეგროვების მეთოდოლოგია, რომლის ანალიზის საფუძველზეც სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა დააიდენტიფიციროს შემდეგი საკითხები:

- ✓ კონსულტაციებზე მოთხოვნის მაჩვენებელი;
- ✓ კონსულტაციაზე და მომართვის გზები და რომელი არხები უნდა განავითაროს სამსახურმა;
- ✓ რა საკითხებთან დაკავშირებით არის კონსულტაციაზე მოთხოვნა;
- ✓ რა საკითხებით ინტერესდებიან მონაცემთა სუბიექტები და სხვა ფიზიკური პირები;
- ✓ რა საკითხებით ინტერესდებიან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები (საჯარო დაწესებულებები, კერძო დაწესებულებები და სამართალდამცავი ორგანოები).

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
გაწეული კონსულტაციების რაოდენობრივი მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში სამსახურმა გასცა X ოდენობის კონსულტაცია.

კონსულტაციის გაცემის ფორმა	კონსულტაცია გაცემული იქნა: ✓ წერილობით (X) X%; ✓ სატელეფონო საშუალებით (X) X%; ✓ სოციალური ქსელით (X) X%; ✓ ონლაინ საშუალებებით (X) X%; ✓ პირადი შეხვედრის გზით (X) X%; ✓ ვებგვერდის საშუალებით (X) X%.
კონსულტაციით დაინტერესებული პირი	საანგარიშო პერიოდში კონსულტაცია გაეწია: ✓ X მოქალაქეს; ✓ X საჯარო დაწესებულებას; ✓ X სამართალდამცავ ორგანოს; ✓ X კერძო დაწესებულებას; ✓ X მედიასაშუალებების წარმომადგენლებს; ✓ X არასამთავრობო ორგანიზაციებს; ✓ X - სხვა/უცნობია.

8. ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „წ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინციდენტი წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას“.

კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება ვალდებულება აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[7]

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
სამსახურში მიღებული შეტყობინებების მაჩვენებელი მონაცემთა უსაფრთხოების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით	საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა მიიღო X შეტყობინება მონაცემთა უსაფრთხოების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

[7] 29-ე მუხლის პირველი პუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0>.

9. სპეციალური წარმომადგენელი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ, საქართველოში არსებული ტექნიკური საშუალებებით მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია საქართველოში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა დამუშავებამდე საქართველოში დანიშნოს ან განსაზღვროს სპეციალური წარმომადგენელი, რომლის რეგისტრაციას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.[9]

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
რეგისტრირებული სპეციალური წარმომადგენლების საერთო რაოდენობა	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დარეგისტრირდა X რაოდენობის სპეციალური წარმომადგენელი.

[9] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის №20 ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ სპეციალური წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6118390?publication=0>.

10. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.

სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობას აფასებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის, მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიების (მათ შორის, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების), მონაცემთა შემდგომი საერთაშორისო გადაცემის წესების, მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს არსებობის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის ანალიზის საფუძველზე.[10] იმ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებშიც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, განისაზღვრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.[11]

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
მონაცემთა საერთაშორისო გადაცემაზე სამსახურისათვის მომართვის მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემასთან დაკავშირებით ნებართვის მისაღებად სამსახურმა მიიღო X განცხადება.
მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის თაობაზე სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მაჩვენებელი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ: ➢ ნებართვა გაიცა X შემთხვევაში; ➢ არ გაიცა Y შემთხვევაში; ➢ განხილვა არ დასრულებულა Z შემთხვევაში.

[10] 38-ე მუხლის პირველი პუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0>.

[11] იხ. 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0>.

11. საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერებას ზედამხედველობს პერსონალურ მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის კონტექსტშიც. კერძოდ, როდესაც საქართველოს სახელით დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების პროექტები ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის შესაძლებლობას, შესაბამისი უწყების მომართვის საფუძველზე, სამსახური ატარებს აღნიშნული დოკუმენტების სამართლებრივ ექსპერტიზას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში, სამსახური შეისწავლის წარმოდგენილი ხელშეკრულებების/შეთანხმებების პროექტებს, მხარე სახელმწიფოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომლის საფუძველზეც, საჭიროებისამებრ, გაიცემა შეთანხმების/ხელშეკრულების პროექტში ცვლილებების რეკომენდაცია.

ამასთანავე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 თებერვლის №23 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა,[12] რომლებშიც მონაცემთა გადაცემა (სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში) მიიჩნევა უსაფრთხოდ.

[12] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 თებერვლის №23 ბრძანება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6119485?publication=0>.

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
სამსახურის მიერ ჩატარებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების სამართლებრივი ექსპერტიზების რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა X ოდენობის საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზა.
სამსახურის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზაზე რეკომენდაციის გაცემის მაჩვენებელი	სამსახურის მიერ ჩატარებული X ოდენობის საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტის ექსპერტიზიდან Y შემთხვევაში გაიცა რეკომენდაცია, ხოლო Z შემთხვევაში არ გაიცა რეკომენდაცია.

12. საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, სხვა უწყებების მომართვის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას.

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
სამსახურის მიერ ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზების საერთო რაოდენობაა - X.
აქტების სახეების მაჩვენებელი, რომლებზეც სამსახურმა ჩაატარა სამართლებრივი ექსპერტიზა	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ჩატარებული X ექსპერტიზიდან: ➢ Y შეეხებოდა კანონპროექტს; ➢ Z მინისტრის ბრძანების პროექტს; ➢ N მთავრობის დადგენილების პროექტს; ➢ F სხვა უწყების ხელმძღვანელის ბრძანების პროექტს.
ექსპერტიზის ჩატარების მიზნით სამსახურისთვის მომართვის მაჩვენებელი სექტორების მიხედვით	სამსახურს სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარების მიზნებისთვის ჯამში მომართეს X-ჯერ: ➢ საჯარო სექტორი Y; ➢ სამართალდამცავი ორგანო Z.

13. ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ინფორმირებულობის გაზრდა

საზოგადოებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.[13] აღნიშნული ფუნქციის ეფექტიანად განსახორციელებლად, აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკის წარმოება და ანალიზი.

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
გამოქვეყნებული სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა თემატური კვლევების რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ გამოქვეყნდა X ოდენობის სახელმძღვანელო რეკომენდაცია და თემატური კვლევა.
მსოფლიო პრაქტიკის მიმოხილვის (დაიჯესტი) თაობაზე გამოქვეყნებული დოკუმენტების ოდენობა	საანგარიშო პერიოდში, მსოფლიო პრაქტიკის მიმოხილვის (დაიჯესტი) თაობაზე სამსახურმა გამოაქვეყნა X ოდენობის დოკუმენტი.

[13] იხ. 49-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=0>.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ გამოცემების ოდენობა	საანგარიშო პერიოდში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ გამოცემული პუბლიკაციების ოდენობაა X.
ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ჩატარებული კამპანიების/პროექტების რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ჩატარებული ცნობიერების ამაღლების კამპანიის/პროექტის რაოდენობაა X.
სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სიახლეების ვიზიტორთა მაჩვენებელი	სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სიახლეებს ჰქონდა X ნახვა.
სამსახურის ვებგვერდზე შესულ პირთა რაოდენობის მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში სამსახურის ვებგვერდს ეწვია X პირი.
სოციალურ ქსელში სამსახურის გვერდის მომატებული „მოწონებების“ (“Like”) მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, სოციალურ ქსელში სამსახურის გვერდს მოემატა X ოდენობის „მოწონება“ (“Like”).

საინფორმაციო, სატელევიზო ეთერებში, ასევე, რადიოსა და თემატურ გადაცემებში სამსახურის წარმომადგენლის სტუმრობით გაშუქებული გადაცემების რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში, საინფორმაციო, სატელევიზო ეთერებში, ასევე, რადიოსა და თემატურ გადაცემებში სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაშუქდა X გადაცემა.
ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა X საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი.
ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებზე დამსწრე პირთა მაჩვენებელი	სამსახურის მიერ ჩატარებულ X საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო Y-მა პირმა.

13. სხვა სტატისტიკური ინფორმაცია

დასათვლელი პარამეტრი	სტატისტიკური მონაცემი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნების მაჩვენებელი	საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა მიიღო X მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით.
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი[14]	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა X მოთხოვნიდან: ➢ სრულად დააკმაყოფილა Y; ➢ არ დააკმაყოფილა Z.
სამსახურის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის მაჩვენებელი	სამსახურმა შეიმუშავა X კანონქვემდებარე აქტი.

[14] საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე: matsne.gov.ge.

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის №7, 0105
ბათუმი, ბაქოს ქუჩა, №48, 6010
ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge

WWW.PDPS.GE